ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442431210
თარიღი:07/11/2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა და პირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“. პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობის შექმნა ქვეყნის ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში წვლილის შესატანად. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად. პროექტის აქტივობებს წარმოადგენს: მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა; ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა და ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/ შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა.

სამივე აქტივობის ფინანსური მხარდაჭერა გაიცემა კონკურისის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტი „ქუთაისი:

ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის“ დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ/. პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. ვალერიანე სილაგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ზ/. გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ/. ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ გუნდის ლიდერი - კომისიი წევრი;

ი/. ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ხელმძღვანელი - კომისიის წევრი“.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისიის დებულება N1 დანართის შესაბამისად.

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/

3. მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების შესანარჩუნებლად გამოცხადდეს მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში 2024 წლის 07 ნოემბრიდან.

4. დამტკიცდეს მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების მესამე მხარის ფინანსური მხარდამჭერი კონკურსის წესი და პირობები N2 დანართის შესაბამისად.

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის/

5. დამტკიცდეს მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების მესამე მხარის ფინანსური მხარდამჭერ კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N3 დანართის შესაბამისად.

/დანართი N3 ბრძანებას თან ერთვის/

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის 08 ნოემბრიდან 2024 წლის 22 ნოემბრის 18 : 00 საათამდე.

7. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი 2024 წლის 07 ნოემბრიდან.

8. დამტკიცდეს ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღები კონკურსის წესი და პირობები N4 დანართის შესაბამისად.

/დანართი N4 ბრძანებას თან ერთვის/

9. დამტკიცდეს ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N5 დანართის შესაბამისად.

/დანართი N5 ბრძანებას თან ერთვის/

10. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის 07 ნოემბრიდან 2024 წლის 22 ნოემბრის 18 : 00 საათამდე.

11. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი 2024 წლის 07 ნოემბრიდან.

12. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღები კონკურსის წესი და პირობები N6 დანართის შესაბამისად.

/დანართი N6 ბრძანებას თან ერთვის/

13. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N7 დანართის შესაბამისად.

/დანართი N7 ბრძანებას თან ერთვის/

14. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის 08 ნოემბრიდან 2024 წლის 22 ნოემბრის 18 : 00 საათამდე.

15. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა და პირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 09 სექტემბრის №44. 442425322 ბრძანება.

16. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

18. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

19. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/

იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი